

პროექტის ბანმარტება

პროექტი №№ VV-50/17, VV-51/17 დამუშავდა 2017 წლის საინვესტიციო გეგმის თანახმად, რომელიც ეხება ქ. თბილისში მთაწმინდა-კრწანისის საქსელო რ-ის ტერიტორიაზე ქ/ს „სოლოლაკი“-დან გამომავალი მ/ძ-ის (6კვ.) მიწისქვეშა საკაბელო ქსელების ამორტიზებული მონაკვეთების შეცვლას ფიდ. № 11 – ს/ჯ №4033-ის, ფიდ. №15 – ს/ჯ №4035-ის მიმართულებებზე პოზიცია №1-დან პოზიცია №2-მდე.

გაითხაროს საკაბელო ტრანში პოზიცია №1-დან 2 კაბელისათვის; ლ. ასათიანის ქ-ის გვერდულზე, შ. დადიანის, ლერმონტოვის და გ. აბესაძის ქუჩების ტროტუარზე და გადაკვეთებში პოზ. №2-მდე, სამანქანო ასფალტირებული გზების გადაკვეთა შესრულდეს გვირაბული მეთოდით – „კროტის“ გამოყენებით. მიწისქვეშა კომუნიკაციების გადაკვეთაში ჩაიდოს სქელკედლიანი დამცავი მილი, რომელშიდაც შემდგომ გატარდეს სამონტაჟო კაბელი, მოეწყოს საკაბელო ბალიში წვრილფრაქციური ქვიშით, ჩაიდოს 2ც. კაბელი NA2XSEY2 (3\*240RM/25)mm2 კვეთის, მიეყაროს ქვიშა, დაეყაროს ქვიშა-ხრეში – დაიტკეპნოს, დაედოს სასიგნალო პოლიეთილენის ლენტი, დაეყაროს ქვიშა-ხრეში, ღორღი – დაიტკეპნოს და დაიგოს ასფალტი.

ქ/ს „სოლოლაკში“ გაითიშოს – შეუწყდეს კვება 6 კვ. ძაბვის ფიდ. № 11 და ფიდ. №15 უჯრედებს, დაედოს დენგამტარ ნაწილებს დამიწება, პოზიცია №2-ზე ჩაიჭრას არსებული მოქმედი ამორტიზებული კაბელები, გაუკეთდეს განმხოლოება და ახალი ჩადებული და არსებული კაბელები პოზ. №1 და პოზ. №2-ზე გადაიბას ПТСО-3-10 150/240 და ТРАЈ 12/3x150-240 შუალედური ქუროების გამოყენებით. საჭიროების შემთხვევაში ახალი ჩადებული კაბელები გადაიბას იგივე ქუროების (ან ანალოგი) საშუალებით. ქ/ს „სოლოლაკში“ №11 და №15 ფიდერებზე გამოიხსნას ძველი კაბელები და მათ ადგილზე შეერთდეს სარეზერვოდ ადრე ჩადებული ძალოვანი კაბელები.

ქ/ს „სოლოლაკში“ უჯრედების დენგამტარ ნაწილებზე მოიხსნას დადებული დამიწებები, მიწისქვეშა კაბელების იზოლიაციის სიდიდეები შემოწმდეს მეგაომმეტრის საშუალებით და მისი დასაშვებ ნორმებში არსებობის შემთხვევაში კაბელები ჩაყენებული იქნას ძაბვის ქვეშ.

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები შესრულდეს ПУЭ-ს და СНиП-ის ნორმების შესაბამისი პუნქტების დაცვით.

პრ-ბი № 50/17	
პრ-ბი № 51/17	
ფ.№	ფ.ჩ.
2	6